ხელშეკრულება №09/02

ონი 15 თებერვალი 2016 წ.

ერთი მხრივ **ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა** (შემდგომში – „დამკვეთი“), წარმოდგენილი გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში – „კომპანია“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში „ეტალონი 2016“ დამკვეთის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2016 წლის 15 თებერვალს, დამკვეთის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1. კომპანია:
2.1.1. უზრუნველყოფს დამკვეთის მონაწილეობით ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადებას; კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვას;
2.1.2. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განხორციელდება სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით, კონკურსს ჩაატარებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფი.
2.1.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი 2016-ის“ ონის მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვება „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.
2.2. დამკვეთი:
2.2.1. უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მუნიციპალიტეტის სკოლების წინასწარ ინფორმირებას, მოსწავლეების შერჩევას და გულშემატკივრებთან ერთად მათ ლოკაციის ადგილას მოყვანას, ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის გახმოვანების აპარატურით და ეკრანით აღჭურვას.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელწიფო გადასახადს);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;
4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;

6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ონი, დავით აღმაშენებლის მოედ. №1
ს/კ 237978275
სახელმწიფო ხაზინა კ. TRESGE22
ანგ №GE24NB0330100165022

. . . . . .
/გ. ლობჯანიძე/

კომპანია
შპს „ეტალონი-მედია“
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №41
საიდ. კოდი 204572024
სს „ბანკი ქართუ“ კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

. . . . . .
/მ. ღოღობერიძე/

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“

ინტელექტუალური კონკურსების მუნიციპალიტეტებში (ადგილებზე) ჩატარება

შპს „ეტალონი-მედია“ წარმოგიდგენთ პროექტის ხარჯთაღრიცხვას

ხარჯის დასახელება	თანხა (ლარი)
შეკითხვების მომზადება-შერჩევა-პროგრამული დამუშავება (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ტექნიკური ჯგუფი)	655
ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1185
მგზავრობის, მივლინების და განთავსების ხარჯი	525
საკანცელარიო ხარჯი (მ.შ. სიგელები, დიპლომი)	144
ჯამი	2509
პლუს დღგ 18%	451
სულ	**2960**

ETALON-MEDIA LTD * 204572024 *